შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

ი ს ტ ო რ ი ა

თბილისი

## შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2011 წლიდან ისტორიის მასწავლებელთა (საბაზო-საშუალო დონის) სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება, რომელიც პედაგოგთა კვალიფიკაციის შემოწმებასა და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემას გულისხმობს.

წინამდებარე კრებულის მიზანია, ისტორიის მასწავლებლებს გააცნოს სასერტიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, ტესტურ დავალებათა ზოგიერთი ნიმუში და 2013 წლის საგამოცდო ტესტი.

ვიმედოვნებთ, კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2014 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის.

*გისურვებთ წარმატებას!*

**საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.**

# 2014 წლის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა

## ისტორიაში

ისტორიის საგამოცდო პროგრამა შედგენილია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ისტორიის ჯგუფის მიერ და ეფუძნება მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს.

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხის დაზუსტება |
|---|---|
| 1. პროფესიული უნარ-ჩვევები | |
| ისტორიული დრო | დროში ორიენტირება;<br>ქრონოლოგიური ერთეულების სისტემის გამოყენება; |
| ისტორიული ინტერპრეტაცია | ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციის ანალიზი და შეფასება; |
| ისტორიული კვლევა | ისტორიული (პირველადი და მეორადი) წყაროების ანალიზი;<br>ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება. |
| კომუნიკაცია | მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მოვლენების შესახებ;<br>მსჯელობა თანამედროვე ეპოქასა და წარსულში განსხვავებული კულტურების ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ;<br>მსჯელობა საქართველოსა და მსოფლიოში პოლიტიკური, სოციალურ- ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური პროცესების ურთიერთმიმართების შესახებ;<br>მიმოხილვითი თხზულების დაწერა ისტორიულ თემატიკაზე;<br>ისტორიული თემის დაწერა საკუთარი კვლევის საფუძველზე. |

| 2. პროფესიული ცოდნა | |
|---|---|
| ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები | ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები |
| ისტორიის დამხმარე დისციპლინები<br>ისტორიის პერიოდიზაცია | არქეოლოგია, ეთნოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ნუმიზმატიკა, ისტორიული გეოგრაფია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ეპიგრაფიკა.<br>მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული აზრის განვითარება (ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების მემატიანეები, ახალი ეპოქის ისტორიკოსები, XIX-XX საუკუნეების ისტორიკოსები). |
| ისტორიული დროის ერთეულები | წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა;<br>კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემები (იულიუსის და გრიგორიანული კალენდრები, ქორონიკონი, ჰიჯრა). |
| პრეისტორიული ეპოქა | პალეოლითი;<br>ნეოლითური რევოლუცია;<br>ბრინჯაოს ეპოქა;<br>პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე. |
| ძველი აღმოსავლეთი | ძველი ეგვიპტე;<br>შუამდინარეთი (შუმერ - აქადის სახელმწიფოები, ბაბილონი, ასურეთი);<br>ხეთების სამეფო;<br>ურარტუ;<br>ფინიკია;<br>იუდეა და ისრაელი - იუდაიზმი;<br>აქემენიანთა იმპერია - ზოროასტრიზმი;<br>ძველი ჩინეთი - კონფუციანობა;<br>ძველი ინდოეთი - ინდუიზმი, ბუდიზმი.<br>ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები. დიაოხი და კოლხა. |
| ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი | საბერძნეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, კრეტა– მიკენი;<br>არქაული ეპოქა - დიდი ბერძნული კოლონიზაცია;<br>კლასიკური ეპოქა - ათენი; სპარტა; ბერძენ-სპარსელთა ომები; პელოპონესის ომი;<br>ძველი ბერძნული რელიგია და კულტურა (თეატრი, არქიტექტურა, ქანდაკება, მწერლობა, მეცნიერება, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, |

| | |
|---|---|
| | სპორტული თამაშები).<br>ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაცემა;<br>ელინისტური ეპოქა;<br>იტალიის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები; ეტრუსკები; რომის დაარსება - მეფობის ეპოქა; რომის რესპუბლიკა (მმართველობის სისტემა, სოციალ-ეკონომიკური სისტემა, პატრიციები და პლებეები; დაპყრობითი ომები, რესპუბლიკის კრიზისი, სამოქალაქო ომები);<br>რომის იმპერია ახ. წ. I–II საუკუნეებში - პრინციპატი (იმპერატორის ხელისუფლება და მმართველობის სისტემა; სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება, საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ოქტავიანე, ვესპასიანე, ტრაიანე, ადრიანე, ანტონიუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი);<br>რომის იმპერია ახ. წ. III–V საუკუნეებში - დომინატი (დიოკლეტიანეს რეფორმები და დომინატის დამყარება; კონსტანტინეს რეფორმები; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა; რომი და ბარბაროსები; დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა);<br>კულტურა ძველ რომში (არქიტექტურა, მწერლობა, რელიგია. „პური და სანახაობა", ისტორიოგრაფია). |
| საქართველო ანტიკურ ხანაში | დასავლეთ საქართველო ძვ. წ. VI-III სს.-ში და ბერძნული ახალშენები.<br>ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ.წ.აღ-ის IV - ახ.წ.აღ-ის III სს. სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობები, საქალაქო ცხოვრება, საგარეო პოლიტიკა (ურთიერთობა ელინისტურ სახელმწიფოებთან, რომთან და პართიასთან);<br>ანტიკური ხანის ქართული კულტურა და რელიგია. |
| სასანიანთა ირანი | სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა. |
| ბიზანტიის იმპერია IV- XV საუკუნეებში | სახელმწიფო მმართველობის სისტემა; იუსტინიანე დიდი და „რომის სამართლის კრებული";<br>ურთიერთობა ბარბაროსულ სახელმწიფოებთან;<br>ირან-ბიზანტიის ომები; ჰერაკლე კეისარი; ბიზანტიის იმპერია და არაბები; |

| | |
|---|---|
| | ხატთაყვანისმცემლობა და ხატმებრძოლეობა;<br>განხეთქილება მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში;<br>ბიზანტია და თურქ-სელჩუკები;<br>ბიზანტია და ჯვაროსნები;<br>ბიზანტიის დასუსტება და დაცემა;<br>ბიზანტიური კულტურა: არქიტექტურა, მეცნიერება, განათლება, მწერლობა. |
| არაბები | მუჰამედი და ისლამი; სახალიფოს ჩამოყალიბება; არაბთა დაპყრობები; სუნიტები და შიიტები. სახალიფოს კრიზისი;<br>მუსლიმური კულტურა (არქიტექტურა, ლიტერატურა, მეცნიერება). |
| თურქ-სელჩუკები | სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება;<br>სელჩუკთა დაპყრობები;<br>სახელმწიფოს დასუსტება და დაშლა. |
| მონღოლები | მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა - ჩინგიზ ყაენი; მონღოლთა დაპყრობები; მონღოლთა სახელმწიფოები. |
| დასავლეთ ევროპა V - XV საუკუნეებში | ხალხთა დიდი გადასახლება;<br>ფრანკების სამეფო (მეროვინგები; „სალიკური სამართალი"; კაროლინგების იმპერია: კარლოს დიდი, „კაროლინგული რენესანსი"; ფრანკების იმპერიის დაცემა);<br>ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში; რაინდობა; ქალაქი და სოფელი შუა საუკუნეებში;<br>ეკლესია შუა საუკუნეებში - კათოლიკობა და მართლმადიდებლობა;<br>ერესი (კატარები, ალბიგოელები); ეკლესია და სახელმწიფო; კათოლიკური ორდენები.<br>ჯვაროსნული ლაშქრობები;<br>განათლება შუა საუკუნეებში - სკოლები და უნივერსიტეტები;<br>შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნება: არქიტექტურა, ფილოსოფია, მეცნიერება, ლიტერატურა;<br>დასავლეთ ევროპის ქვეყნები X-XV საუკუნეებში: ინგლისი (ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობა, ჰენრი II, თავისუფლების დიდი ქარტია, პარლამენტის შექმნა, ასწლიანი ომი, ვარდების ომი); საფრანგეთი (ფილიპე II, ლუი IX, ფილიპე ლამაზი, ასწლიანი ომი, ჟაკერია); საღვთო რომის იმპერია (დაპირისპირება იმპერატორებსა და პაპებს შორის); ესპანეთი (რეკონკისტა); იტალიის ქალაქები (ვენეცია და გენუა). |

| | |
|---|---|
| რუსეთი X – XVI საუკუნეებში | კიევის რუსეთის სახელმწიფოს შექმნა; რუსეთის გაქრისტიანება;<br>რუსეთი მონღოლთა ბატონობის პერიოდში;<br>მოსკოვის სამთავროს გაძლიერება. |
| საქართველო IV-XV საუკუნეებში | ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება;<br>ვახტანგ გორგასალი;<br>”დიდი ომიანობა”;<br>608 წლის საეკლესიო განხეთქილება;<br>მეფობის გაუქმება ქართლში.<br>ასურელი მამები; ერისმთავრობის ინსტიტუტი;<br>არაბობა საქართველოში (ჰაბიბ იბნ-მასლამას “დაცვის სიგელი,” მურვან ყრუსა და ბუღა თურქის ლაშქრობები, არაბთა მმართველობის სისტემა საქართველოში);<br>სამეფო–სამთავროების წარმოშობა;<br>საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში (დავით კურაპალატი; ბაგრატ III; გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II);<br>დავით IV აღმაშენებელი;<br>დემეტრე I; გიორგი III;<br>თამარ მეფის ეპოქა;<br>ქართული კულტურა IV-XIII საუკუნეებში: განათლება, საერო და სასულიერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა, არქიტექტურა;<br>მონღოლთა ბატონობა საქართველოში (მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში; მონღოლური გადასახადები; ორმეფობა; დემეტრე თავდადებული).<br>გიორგი V ბრწყინვალე;<br>თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები;<br>ალექსანდრე დიდი; გიორგი VIII და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად. |
| ოსმალეთის სახელმწიფო | ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და გაძლიერება; დაპყრობითი ომები ევროპაში; ირან-ოსმალეთის ომები XVI-XVII სს; რუსეთ-ოსმალეთის ომები XVIII-XIX სს. |
| დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი XVI-XIX საუკუნეებში | რენესანსი (მსოფლმხედველობა, მეცნიერება, ხელოვნება);<br>რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია (მარტინ ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში);<br>კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები: (მაია, აცტეკები და ინკები);<br>დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (ვასკო და გამა, |

| | |
|---|---|
| | კოლუმბი, მაგელანი);<br>საფრანგეთი (რელიგიური ომები, ანრი IV, რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV, მერკანტელიზმი);<br>ინგლისი (ჰენრი VIII, ელისაბედ I, ჩარლზ I, სამოქალაქო ომი, კრომველი, რევოლუციის შედეგები);<br>საღვთო რომის იმპერია (კარლოს V, ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ოცდაათწლიანი ომი);<br>ესპანეთი (ფილიპე II);<br>რუსეთი (ივანე მრისხანე; პეტრე I; ეკატერინე II);<br>ამერიკის კოლონიზაცია ინგლისელების მიერ; ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა; სამოქალაქო ომი აშშ-ში;<br>განმანათლებლობა (ფრანგი განმანათლებლები, ეკონომიკური თეორიები ფიზიოკრატები, ადამ სმიტი);<br>საფრანგეთის დიდი რევოლუცია (აბსოლუტიზმის კრიზისი, მონარქიის დამხობა, იაკობინელთა დიქტატურა, რევოლუციის შედეგები);<br>ნაპოლეონის ეპოქა (ნაპოლეონის აღზევება, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა და საომარი კამპანიები; კონტინენტური ბლოკადა, 1812 წლის საომარი კამპანია რუსეთში, ბრძოლა ლაიფციგთან, ასი დღე, ვატერლოოს ბრძოლა);<br>1830 და 1848 წლების რევოლუციები ევროპაში;<br>ინდუსტრიული რევოლუცია;<br>იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი (ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი);<br>ევროპა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, ალექსანდრე II-ის რეფორმები რუსეთში);<br>ურბანიზაცია, სოციალური ცვლილებები; მუშათა მოძრაობა;<br>დასავლური კულტურა XVI-XIX სს. |
| საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში | ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ; ლუარსაბ I; ბაგრატ III; ამასიის ზავი; სიმონ I; სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა; თეიმურაზ I; ლუარსაბ II; გიორგი სააკაძე; როსტომ-ხანი; ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს; |

| | |
|---|---|
| | ქართული კულტურა XV-XVIII სს. |
| საქართველო XIX საუკუნეში | რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; აჯანყებები ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში; 1832 წლის შეთქმულება; რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოში 30-50-იან წლებში; რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; 60-70-იან წლების რეფორმები; "თერგდალეულები;" პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების ჩამოყალიბება; ქართული კულტურა XIX საუკუნეში. |
| მსოფლიო XX საუკუნეში | მსოფლიო XX საუკუნის დასაწყისში; I მსოფლიო ომი (მიზეზები, საომარი მოქმედებები, შედეგები, საქართველო და I მსოფლიო ომი) პარიზის სამშვი-დობო კონფერენცია;<br>რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში;<br>საქართველო 1918-1921 წლებში (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურა);<br>სსრკ 20-30-იან წლებში; საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (20-იანი წლების დასაწყისის განმათავისუფლებელი აჯანყებები; კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია; პოლიტიკური რეპრესიები);<br>ევროპა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის (გერმანია, იტალია);<br>აშშ და დიდი დეპრესია;<br>II მსოფლიო ომი (მიზეზები; საომარი მოქმედებები; შედეგები; საქართველო და II მსოფლიო ომი);<br>მსოფლიო და საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში: ცივი ომი; ცივი ომის დროინდელი კონფლიქტები (კორეის ომი; კარიბის კრიზისი; ვიეტნამის ომი; ავღანეთი; ისრაელი და არაბული სამყარო); "პერესტროიკა" და სსრკ-ის და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სისტემის დაშლა;<br>მსოფლიო და საქართველო პოსტსაბჭოთა ეპოქაში;<br>XX საუკუნის დასავლური კულტურა (მწერლობა, მუსიკა, ფერწერა);<br>XX საუკუნის ქართული კულტურა (მწერლობა, მუსიკა, ფერწერა, თეატრი, კინო). |

| 3. სწავლების მეთოდები | |
|---|---|
| სასწავლო პროცესის დაგეგმვა | ა.ა) საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაყრდნობით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების, შესაბამისი ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;<br>ა.ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;<br>ა.გ) საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში გააზრებული და საფუძვლიანი ცოდნის შეძენასა და უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარებაზე;<br>ა.დ) მიზნის შესაბამისი შეფასების ისეთი ტიპებისა და ფორმების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო გამოვლინდეს მოსწავლეთა შესაძლებლობანი და შეფასდეს მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ ხელი შეეწყოს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;<br>ა.ე) შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასების ცხრილებისა და სქემების შედგენა შემდეგი ტიპის აქტივობებისათვის: პრობლემის იდენტიფიკაცია, ინფორმაციის მოძიება, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება, ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალებების გამოყენება, ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების ანალიზი, ისტორიული და გეოგრაფიული კვლევის დაგეგმვა, ჩატარება და პრეზენტაცია, საზოგადოებრივი მეცნიერებების თემებზე საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შესრულება და სხვა;<br>ა.ვ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საზოგადოებრივი მეცნიერებების და სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან |

| | |
|---|---|
| | თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება – ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა არასაგაკვეთილო აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა;<br>ა.ზ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესის დაგეგმვისას საფეხურებს შორის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინება.<br>ა.თ) სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეებს განუვითარებს სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციებს - საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, სხვისი უფლებების პატივისცემა, ტოლერანტობა, კონფლიქტების პრევენცია და მოგვარება, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ. |
| სასწავლო პროცესის წარმართვა | ბ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენება;<br>ბ.ბ) მოსწავლეებში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ცოდნის გაღრმავებისა და უნარების განვითარების მიზნით, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება.<br>ბ.გ) აქტივობების იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ კვლევითი უნარი, და შეძლონ როგორც სხვათა, ასევე საკუთარი კვლევების კრიტიკული შეფასება;<br>ბ.დ) მოსწავლეებში საზოგადოებრივი მეცნიერებების საკითხებზე სადისკუსიო და წერითი უნარების განვითარებისათვის ხელშეწყობა;<br>ბ.ე) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლის პროცესში ყველა მოსწავლის (მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით) მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა (ჯგუფურ მუშაობებში და პროექტებში მონაწილეობა, სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლივი დაგეგმვა და განხორციელება და სხვ.).<br>ბ.ვ) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ცოდნის ტრანსფერი – ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა და გამოყენება.<br>ბ.ზ) აქტივობების იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; |

| | |
|---|---|
| | ბ.თ) მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი და მოხერხებული ისტორიულ-გეოგრაფიული საშუალ-ებების, მედია და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება (საჭიროების შემთხვევაში თავად შექმნა);<br>ბ.ი) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი.<br>ბ.კ) სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებას – რუკის, ფოტოს, დიაგრამის, სქემის და ა.შ. საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრების, ინტერპრეტირების და ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარის განვითარება. |
| შეფასება | გ.ა) საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და სქემების შედგენა და გამოყენება;<br>გ.ბ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების მონიტორინგის წარმართვა;<br>გ.გ) საზოგადოებრივ მეცნიერებებში მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;<br>გ.დ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;<br>საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; მის მიერ გამოყენებული თანამედროვე სწავლების კონცეფციების, მეთოდებისა და ტექნიკის კრიტიკულად შეფასება.<br>დ) ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლება მოსწავლის პიროვნული, კულტურული განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად: |

| | |
|---|---|
| | დ.ა) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში;<br>დ.ბ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას;<br>დ.გ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების გამომუშავებასა და მაღალი გემოვნების განვითარებას;<br>დ.დ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ცოდნაზე დაფუძნებული პატრიოტიზმის განვითარებას;<br>დ.ე) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა ან მოფიქრება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას.<br>დ.ვ) ისეთი დავალებებისა და აქტივობების შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. |

## ტესტური დავალებების აღწერილობა და რეკომენდაციები

### დავალების I ტიპი

- *არჩევითი კითხვა*

<u>**დავალების აღწერა:**</u> – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

*<u>ნიმუშები იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

### დავალების II ტიპი

- *ქრონოლოგიის განსაზღვრა*

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ, კერძოდ, ქრონოლოგიის, ისტორიული პერიოდების ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

*<u>ნიმუშები იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების III ტიპი**

- ***შეცდომის პოვნა და შესწორება***

<u>**დავალების აღწერა**</u>: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც მოსწავლემ გარკვეული ინფორმაცია შეცდომებით წარმოადგინა. პედაგოგმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს ეს შეცდომები. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს პედაგოგის შეფასების უნარს (შეცდომის აღმოჩენისა და მისი ადეკვატური შესწორების უნარს), ასევე ფაქტობრივი მასალის ცოდნისა და მისი გამოყენების უნარს; თითოეული დავალების ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

*<u>ნიმუში იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების IV ტიპი**

- ***შესაბამისობის დადგენა***

<u>**დავალების აღწერა**</u>: დავალებაში მოცემულია ორი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი (ორ სვეტად). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციასთან. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნისა და მისი გამოყენების უნარს, ასევე ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების/განზოგადების უნარს. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

*<u>ნიმუშები იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების V ტიპი**

- ***სადისკუსიო თემის განსაზღვრა***

<u>**დავალების აღწერა**</u>: დავალებაში მოცემულია ნაწყვეტი ისტორიული წყაროდან. წყაროში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პედაგოგმა უნდა განსაზღვროს სადისკუსიო თემა და ჩამოაყალიბოს არგუმენტები საგაკვეთილო დისკუსიის დროს წამოჭრილი ორი განსხვავებული პოზიციის/თვალსაზრისის სასარგებლოდ. მოცემული ტესტური დავალება მეთოდური ხასიათისაა და ამოწმებს პედაგოგის მიერ ისტორიული დოკუმენტიდან სადისკუსიო თემის გამოყოფის, განსხვავებული პოზიციების ჩამოყალიბებისა და მათი არგუმენტირებულად დასაბუთების, მსჯელობის უნარს. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

*<u>ნიმუში იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების VI ტიპი**

- ***ისტორიული წყაროს ანალიზი***

<u>**დავალების აღწერა:**</u> დავალებაში მოცემულია ისტორიული წყარო (წერილობითი ან ვიზუალური), რომელსაც თან კითხვები ახლავს. ეს კითხვები შეეხება: ისტორიული წყაროს გაგებას და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფას, ისტორიულ წყაროში წარმოდგენილი კონკრეტული ამბის ზოგად ისტორიულ კონტექსტში ჩასმას, მის გააზრებას, ასევე საკუთარი აზრის/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთებას ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის მიმართ. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ისტორიული წყაროს გაგებისა და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფის, ისტორიულ წყაროში მოთხრობილი ამბის ისტორიულ კონტექსტში ჩასმის, საკუთარი მოსაზრების/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

*<u>ნიმუშები (დავალებებში: ისტორიული წყაროს ანალიზი, ისტორიული რუკის ანალიზი) იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების VII ტიპი**

- *მოსწავლის ნაშრომის შეფასება*

**<u>დავალების აღწერა:</u>** დავალებაში მოცემულია მოსწავლისათვის მიცემული დავალება: ისტორიული წყარო ან ისტორიული ხასიათის ტექსტი თანდართული კითხვებით. დავალებაში წარმოდგენილია კონკრეტული მოსწავლის მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხები; ყოველივე ამას კი თან ერთვის შეფასების კრიტერიუმები (შეფასების სქემა), რომლის გამოყენებითაც პედაგოგმა უნდა შეძლოს მოსწავლის ნამუშევრის შეფასება. ეს დავალება მეთოდური ხასიათისაა, რომელშიც პედაგოგი ამჟღავნებს სასწავლო პროცესში შეფასების კომპონენტის ადეკვატურად ფლობის უნარს (იგი გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით აფასებს მოსწავლის პასუხს). ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

*<u>ნიმუში იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.</u>*

**დავალების VIII ტიპი**

- *გაკვეთილის დაგეგმვა*

**<u>დავალების აღწერა</u>**: მოცემული დავალება უკავშირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვას. მოცემულ ტესტურ დავალებაში პედაგოგს მოეთხოვება გაკვეთილის მიზნების განსაზღვრა, რომლის მიღწევასაც გეგმავს გაკვეთილზე (დასახელებულ საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებით), წინაპირობების წარმოდგენა (რისი ცოდნა და უნარები მოეთხოვება მოსწავლეს), სასწავლო რესურსებისა (რა ძირითადი და დამატებითი რესურსებია საჭირო ამა თუ იმ გაკვეთილის ჩატარებისას) და სხვა აქტივობების (რა კონკრეტული აქტივობები უნდა დაიგეგმოს გაკვეთილზე საგაკვეთილო მიზნის მისაღწევად) დასახელება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.

შესაძლოა, პედაგოგს დაევალოს გაკვეთილის დაგეგმვის მხოლოდ ერთი ან ორი კომპონენტის შესრულება (მაგალითად, საშინაო დავალების). მოცემული დავალება მეთოდური ხასიათისაა, რომელიც ამოწმებს უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ უნარს –

გაკვეთილის სწორად დაგეგმვასა და ადეკვატურად ორგანიზებას, კერძოდ: სასწავლო მიზნის სწორად დასახვას (რამდენად რეალისტური და მიღწევადია მიზანი), საგაკვეთილო მიზნის ეროვნული სასწავლო გეგმის (საგნობრივი პროგრამის) გათვალისწინებით განსაზღვრას (მოკლევადიანი მიზნის გრძელვადიან მიზანთან შესაბამისობას), საგაკვეთილო დროის სწორად ორგანიზებას, სასწავლო რესურსის ადეკვატურად შერჩევა/გამოყენებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ცოდნის, შესაძლებლობებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, სასწავლო აქტივობების საგაკვეთილო მიზნის შესაბამისად შერჩევა/დაგეგმვას, კლასის ორგანიზების ოპტიმალური ფორმის შერჩევას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპების/კომპონენტების ლოგიკურად ბმა/დაკავშირებას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

*ნიმუში იხილეთ 2013 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის თანდართულ ტესტში.*

# ტესტი ისტორიაში

2013

## ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა ისტორიაში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

ტესტი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

ყურადღებით გაეცანით ტესტის დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!**

**პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

ტესტის ბუკლეტში არსებული ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

**ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.**

**ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.**

**გისურვებთ წარმატებას!**

# 1. ცოდნა და უნარები

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**1. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა, რომ პტოლემაიოსების ეგვიპტეში ოფიციალური დოკუმენტაცია იმთავითვე ბერძნულ ენაზე იქმნებოდა?**

ა. რომის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებში ბერძნულის დომინირებამ

ბ. ბერძნული სავაჭრო კოლონიების სიმრავლემ

გ. ქრისტიანული ღვთისმსახურების ბერძნულად აღსრულებამ

დ. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად ეგვიპტის ელინიზაციამ

**2. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია პირველი ტრიუმვირატის დაშლა?**

ა. მონათა აჯანყებამ სპარტაკის მეთაურობით

ბ. პართელებთან ომში კრასუსის დაღუპვამ

გ. პომპეუსის მიერ სერტორიუსის დამარცხებამ

დ. გალიის კონსულად კეისრის დანიშვნამ

**3. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გაუადვილა სასანიან შაჰს ქართლში მეფობის გაუქმება?**

ა. ხატმებრძოლეობის გამო ბიზანტიისა და ქართლის დაპირისპირებამ

ბ. ქართულ-სომხური საეკლესიო ერთობის რღვევამ

გ. ეგრისში სპარსელთა გაბატონებამ

დ. შაჰის მიერ ქართველი დიდებულების ნაწილის გადაბირებამ

**4. რამ განაპირობა დავით კურაპალატის გადასვლა აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე?**

ა. თავის დროზე ბარდა ფოკა დავითს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარა

ბ. ფოკა დავითს საიმპერატორო კარის მიერ ბოძებული მიწების სამუდამო მფლობელობაში გადაცემას შეჰპირდა

გ. ბარდა ფოკა დავითს თბილისიდან არაბთა განდევნის შემდეგ ქალაქის გადაცემას აღუთქვამდა

დ. იმპერატორად გახდომის შემთხვევაში ფოკა დავითს საქართველოს გაერთიანებაში დაეხმარებოდა

**5. რით არის ისტორიაში ცნობილი კანოსას ციხე-სიმაგრე?**

ა. აქ რომაელები დამარცხდნენ ჰანიბალის ლაშქართან

ბ. აქ შეხვდნენ ერთმანეთს რომის პაპი ლეო I და ატილა

გ. აქ მიიღო პაპმა გრიგოლ VII-მ იმპერატორი ჰენრიხ IV

დ. აქ დაუზავდა ფრიდრიხ ბარბაროსა ლომბარდიულ ლიგას

**6. რამ განაპირობა ლათინთა იმპერიის შექმნა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე?**

ა. რომაელთა მიერ საბერძნეთის დაპყრობამ

ბ. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ

გ. რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფამ

დ. ჯვაროსანთა მიერ სელჩუკთა განადგურებამ

**7. რა პერიოდს მოიცავს ჟამთააღმწერლის თხზულება?**

ა. გიორგი IV-ის გამეფებიდან გიორგი V-ის გამეფებამდე

ბ. თამარ მეფის გამეფებიდან გიორგი V-ის გამეფებამდე

გ. გიორგი IV-ის გამეფებიდან დავით VIII-ის გამეფებამდე

დ. თამარ მეფის გამეფებიდან ვახტანგ III-ის გამეფებამდე

**8. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა, რომ V ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა საომარი ოპერაციები ეგვიპტეში დაიწყეს?**

ა. ფატიმიდების წინააღმდეგ ბრძოლაში მამელუქების დახმარების იმედმა

ბ. ალექსანდრიის პატრიარქის თხოვნამ დახმარებისა და შველის შესახებ

გ. ვენეციამ მათი ხელით მთავარი სავაჭრო კონკურენტის დამარცხება სცადა

დ. იერუსალიმი მაშინ ეგვიპტის სასულთნოს შემადგენლობაში შედიოდა

**9. რას ისახავდა მიზნად გიორგი V, როდესაც „ძეგლის დადება“ შექმნა?**

ა. მონღოლთა ბატონობის შედეგად მოშლილი საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას

ბ. სახელმწიფო მოხელეთა უფლება-მოვალეობებისა და სამეფო კარის ეტიკეტის განსაზღვრას

გ. საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ კუთხეში წესრიგისა და კანონიერების აღდგენას

დ. წინამორბედების მიერ ფეოდალთათვის ბოძებული პრივილეგიების ჩამორთმევას

**10. რას ისახავდა მიზნად ანრი IV, როდესაც ნანტის ედიქტი გამოსცა?**

ა. თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას

ბ. რელიგიური ომების დასრულებას

გ. ქალაქების მოსახლეობის დაცვას

დ. მანუფაქტურული წარმოების ხელშეწყობას

**11. რა იყო ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი მიზეზი?**

ა. დაპირისპირება საფრანგეთსა და ჰაბსბურგებს შორის

ბ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ავსტრია-უნგრეთში

გ. ჰუსიტური მოძრაობის გაძლიერება ბოჰემიასა და მორავიაში

დ. წინააღმდეგობა რომის პაპებსა და გერმანიის იმპერატორებს შორის

**12. რამ განაპირობა „ხანგრძლივი პარლამენტის“ გარეკვა?**

ა. ანგლიკანურ ეკლესიასთან წინააღმდეგობამ

ბ. თემთა და ლორდთა პალატებს შორის დაპირისპირებამ

გ. ოლივერ კრომველთან წინააღმდეგობამ

დ. ჩარლზ I-თან დაპირისპირებამ

**13. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა, რომ რუსეთის სამეფო კარი არ დაინტერესდა თეიმურაზ II-ის გეგმით ირანში ერთობლივი ლაშქრობის შესახებ?**

ა. რუსეთში ამ დროს ემელიანე პუგაჩოვის აჯანყება მიმდინარეობდა

ბ. რუსეთი ევროპაში მიმდინარე შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული

გ. რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებით, ირანი საფრანგეთის გავლენის სფერო იყო

დ. რუსეთს არ სურდა ირანთან დადებული სან-სტეფანოს ზავის დარღვევა

**14. რა შეიძლება მომხდარიყო, ტრაფალგარის ბრძოლა საპირისპირო შედეგით რომ დამთავრებულიყო?**

ა. სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა ესპანეთის ბატონობას ზღვაზე და მის გავლენას ჩრდილოეთ ამერიკაში

ბ. პორტუგალია კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას მოიპოვებდა და გზა გაეხსნებოდა ცენტრალური ამერიკის კოლონიზაციისკენ

გ. შეფერხდებოდა გერმანული სახელმწიფოების გაერთიანება და გერმანიის ერთიანი იმპერიის შექმნა

დ. საკმაოდ რეალური გახდებოდა საფრანგეთის ჯარის გადასვლა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე

**15. რას შეუწყო ხელი 1866 წლის პრუსია-ავსტრიის ომმა?**

ა. პოლონელების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას

ბ. იტალიის გაერთიანებას

გ. ბულგარეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას

დ. ჰანზის კავშირის დაშლას

**16. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი?**

ა. პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე

ბ. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გერმანიის იმპერიაში

გ. პოლონეთის გაყოფის შემდეგ შექმნილმა წინააღმდეგობამ

დ. რევოლუციურმა სიტუაციამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში

**17. რამ განაპირობა „ნაციონალ-უკლონისტების“ დაპირისპირება კომუნისტური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან?**

ა. სახელმწიფოში კერძო საკუთრების დაშვება-არდაშვების საკითხმა

ბ. საქართველოში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების პროცესმა

გ. კოლექტივიზაციის დროს გამოყენებულმა მეთოდებმა

დ. საქართველოს სტატუსის საკითხმა სსრკ-ის შემადგენლობაში

**18. რამ გამოიწვია საბჭოთა კავშირში კოლექტივიზაციის შედეგად სოფლის მეურნეობის დაქვეითების დაწყება?**

ა. სოფლის მეურნეობაში დაბანდებული თანხები გოელროს გეგმის განხორციელებას მოხმარდა

ბ. სამოქალაქო ომიდან მოყოლებული შეჩერებული იყო ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება

გ. ახალი კანონმდებლობით გლეხებს აეკრძალათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბაზარში გაყიდვა

დ. სოფლის მეურნეობაში წარმატებულად მომუშავეთა უდიდეს ნაწილს ჩამოერთვა კერძო საკუთრება

**ინსტრუქცია**

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები, პიროვნებები და არქიტექტურული ძეგლები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის, პიროვნების და ა.შ. შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**19. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ხუროთმოძღვრული ძეგლები მათი აგების დროის მიხედვით:**

1. გრემი
2. სამთავისი
3. ანანური

**20. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVIII საუკუნეში მომხდარი მოვლენები:**

1. თეიმურაზ II-ის წასვლა რუსეთში
2. ყირბულახის ბრძოლა
3. ქართლის თავადების შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ

**21. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული პირები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:**

1. გარიბალდი
2. კალვინი
3. მირაბო

**22. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სახელმწიფოები ანტანტასთან დაზავების დროის მიხედვით:**

1. თურქეთი
2. გერმანია
3. ავსტრია-უნგრეთი

**ინსტრუქცია**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 21.

## 23. რუსეთს, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის დადებული ხელშეკრულება

ბერლინი 18 ივნისი 1881 წელი

1. თუ რომელიმე ხელმომწერ მხარეთაგანი აღმოჩნდება ომის მდგომარეობაში მეოთხე დიდ სახელმწიფოსთან, დანარჩენი ორი მის მიმართ კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს და შეეცდება კონფლიქტის ლოკალიზაციას. ეს პირობები სრულდება თურქეთთან ომის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ სამივე სახელმწიფოს შორის წინასწარ შეთანხმებული იქნება ომის მოსალოდნელი შედეგები.

2. რუსეთი, გერმანიის თანხმობით, აცხადებს, რომ პატივს სცემს ავსტრია-უნგრეთის ინტერესებს. ერთმანეთს შორის უთანხმოების თავიდან აცილების სურვილით, სამივე სახელმწიფო პირობას დებს, გაითვალისწინოს ერთმანეთის ინტერესები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რომ ოსმალეთის ევროპულ ნაწილში ტერიტორიული სტატუს-ქვო შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ მათი ურთიერთშეთანხმებით.

3. სამივე საიმპერატორო კარი, საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, აღიარებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვის პრინციპის აუცილებლობას. ისინი ერთობლივად დააკვირდებიან, რომ თურქეთმა არ დაუშვას გამონაკლისი რომელიმე ერთი მთავრობის სასარგებლოდ, მისთვის სამხედრო ოპერაციებისათვის თავისი ტერიტორიის იმ ნაწილის დათმობით, რომელსაც სრუტეები წარმოადგენს. ამ პირობის დარღვევის ან ასეთი რამის თავიდან ასაცილებლად, სამივე საიმპერატორო კარი გააფრთხილებს თურქეთს, რომ ასეთ შემთხვევაში ის ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება იმ სახელმწიფოსთან, რომლის საზიანოდაც მოხდა ყოველივე და რომ ამიერიდან ის კარგავს ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიას, რაც ბერლინის ტრაქტატით აქვს მინიჭებული.

4. ამ ხელშეკრულებას ძალა აქვს რატიფიკაციიდან სამი წლის მანძილზე.

5. ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ საიდუმლოდ შეინახონ ამ ხელშეკრულების არსებობა, მისი შინაარსი და დართული პროტოკოლი.

6. 1873 წელს გერმანიასა და რუსეთს, რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის დადებული საიდუმლო კონვენციები იცვლება ამ ხელშეკრულებით.

ხელშეკრულებისთვის დართული პროტოკოლი

ქვემორე ხელმომწერნი, უფლებამოსილნი გერმანიის იმპერატორის, პრუსიის მეფის, ავსტრიის იმპერატორის და  რუსეთის იმპერატორის მიერ, ადგენენ:

ბოსნია და ჰერცოგოვინა

ავსტრია-უნგრეთი უფლებას იტოვებს მოახდინოს ამ პროვინციების ანექსირება მისთვის ხელსაყრელ მომენტში.

აღმოსავლეთ რუმელია

სამივე სახელმწიფო ერთსულოვნად აღიარებს, რომ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის ოკუპაციის მცდელობა სახიფათო იქნება საყოველთაო მშვიდობისათვის. საჭიროების შემთხვევაში ისინი მცდელობას არ დააკლებენ, რომ პორტას გადააფიქრებინონ მსგავსი ნაბიჯი. ამავე დროს, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ბულგარეთი და აღმოსავლეთ რუმელია, თავის მხრივ, თავს შეიკავებენ, რათა არ გამოიწვიონ ბრწყინვალე პორტა საკუთარი ტერიტორიიდან მის  ტერიტორიაზე თავდასხმით.

ბულგარეთი

სამი სახელმწიფო არ შეეწინააღმდეგება ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთიანებას იმ ტერიტორიულ საზღვრებში, რომელიც მათთვის განსაზღვრულია ბერლინის ტრაქტატით, თუ კი ასეთი საკითხი წამოიჭრება. ისინი შეთანხმდნენ, რომ ბულგარელებს გადააფიქრებინებენ მეზობელი პროვინციის, კერძოდ, მაკედონიისადმი აგრესიულ დამოკიდებულებას და განუცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში მას მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად მოუწევს მოქმედება.

აღნიშნული პროტოკოლი წარმოადგენს საიდუმლო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ისეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვს.

<u>კითხვები:</u>

**(2) 23.1. თქვენი აზრით, რომელი სახელმწიფო იგულისხმება ხელშეკრულების პირველ პუნქტში ნახსენებ „მეოთხე დიდი სახელმწიფოში“? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

**(3) 23.2. თქვენი აზრით, ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოებიდან რომელი ორი იქნებოდა უფრო მეტად დაინტერესებული ბალკანეთის ნახევარკუნძულით? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ.**

(2) 23.3. თქვენი აზრით, ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოებიდან  რომლისათვის იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ.

(2) 23.4. თქვენი აზრით, ოსმალეთის მიერ სრუტეების რომელი კონკრეტული სახელმწიფოსათვის დათმობა იქნებოდა ყველაზე საშიში სამივე ხელმომწერი მხარისათვის? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ.

(1) 23.5. დოკუმენტის თანახმად, რომელი მხარეების ოკუპაციის უფლებას იტოვებდა ავსტრია-უნგრეთი?

(1) 23.6. რომელი სახელმწიფო იგულისხმება „პორტაში?

(2) 23.7. დოკუმენტის თანახმად, რომელი ტერიტორიების გაერთიანების წინააღმდეგი არ იქნებოდა სამივე ხელმომწერი სახელმწიფო და რა პირობის დაცვის შემთხვევაში?

(1) 23.8. როგორ ახსნით იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულება დადებული იყო სამ სახელმწიფოს შორის, ხოლო პროტოკოლში კი მოხსენიებულია, რომ უფლებამოსილი პირნი წარმოადგენენ ოთხი ქვეყნის მმართველს?

(3) 23.9. რომელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი ილახება ამ ხელშეკრულებით? საკუთარი მოსაზრება დაასაბუთეთ დოკუმენტში მოცემული კონკრეტული პირობების დასახელებით.

(2) 23.10. მხოლოდ მოცემულ დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ჩამოთვალეთ რა საკითხები განისაზღვრა ბერლინის ტრაქტატით?

(2) 23.11. რომელი ხელშეკრულება გადაისინჯა დოკუმენტში ნახსენები ბერლინის ტრაქტატით და რომელი იმპერიის ინტერესის საზიანოდ?

## 2. საგნის სწავლების მეთოდიკა

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

**24. თქვენი მიზანია, მოსწავლეებმა დაადგინონ რომისა და ბიზანტიის იმპერიების სახელმწიფო მმართველობის თავისებურებები. მოცემული დავალებებიდან რომელს გამოიყენებთ ინტერაქტიური სწავლების პრინციპების გათვალისწინებით?**

ა. მოსწავლეთა მიერ ავგუსტუსის მიერ მმართველობის სისტემაში განხორციელებული რეფორმების გაანალიზება

ბ. მოსწავლეთა მიერ ავგუსტუსისა და იუსტინიანე I–ის მიერ სახელმწიფოში განხორციელებული ცვლილებების შედარებითი ანალიზი

გ. მოსწავლეთა მიერ იუსტინიანე I–ის მიერ განხორციელებული რეფორმების ქრონოლოგიური ცხრილის შედგენა

დ. მოსწავლეთა მიერ ავგუსტუსისა და იუსტინიანე I–ის მოღვაწეობის ძირითადი მოვლენების აღწერა

**25. თქვენ მოგეპოვებათ რესურსი - ფოტო, რომელზეც გამოსახულია რომაული მოზაიკის ფრაგმენტი გლადიატორთა ბრძოლის სცენით. რა დავალებას მისცემდით მოსწავლეებს ამ რესურსის გამოყენებით, რათა განავითაროთ მათი შემოქმედებითი აზროვნება?**

ა. გაიხსენეთ ისტორიული ეპიზოდები გლადიატორთა ცხოვრებიდან

ბ. მოიფიქრეთ ორიგინალური სათაური ფოტოზე გამოსახული სცენისთვის

გ. ჩამოთვალეთ გლადიატორთა ტიპები საბრძოლო აღჭურვილობის მიხედვით

დ. დეტალურად აღწერეთ ფოტოზე გამოსახული სცენა

**26. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს გააცნოთ რა პოლიტიკური შედეგი მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას სამხრეთ კავკასიაში. მოცემული აქტივობებიდან რომელს გამოიყენებდით ინტერაქტიური სწავლების პრინციპების გათვალისწინებით?**

ა. მასწავლებლის მიერ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისთვის ლექციის ჩატარება

ბ. მოსწავლეთა მიერ აფხაზეთისა და ყარაბახის კონფლიქტების შესახებ ოფიციალური ცნობების შედარება

გ. მოსწავლეთა მიერ „პერესტროიკის“ პერიოდის მოვლენების ქრონოლოგიური ცხრილის შედგენა

დ. მოსწავლეთა მიერ XX საუკუნის 50–იანი და 90–იანი წლების პოლიტიკური რუკების გაანალიზება

**27. მასწავლებელმა დაგეგმა „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ თემის შესწავლა. მან მოსწავლეებს მიუთითა საჭირო ლიტერატურა; თითოეულს დაავალა დამოუკიდებლად მოეძია ინმფორმაცია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყების შესახებ და წარმოედგინა ის ცხრილის სახით.**

**რომელი სასწავლო უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს <u>ყველაზე მეტად</u> მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის მიცემული დავალება?**

ა. შემოქმედებითი აზროვნების უნარის

ბ. პრობლემის გადაჭრის უნარის

გ. თანამშრომლობის უნარის

დ. ინფორმაციის ორგანიზების უნარის

**ინსტრუქცია**

დავალებაში მოცემულია ისტორიული რუკა. რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

**28.**




მოსწავლის დავალებაა გააანალიზოს მოცემული რუკა და მასზე არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად განსაზღვროს, რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო ქართველებისთვის, რუსეთ-ირანისა თუ რუსეთ-ოსმალეთის ომები? მოსწავლემ უპასუხა, რომ ომი ორივე სახელმწიფოსთან თანაბრად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ირანიცა და ოსმალეთიც საქართველოს საუკუნოვანი მტრები იყვნენ.

<u>კითხვები:</u>

**(1) 28.1. განსაზღვრეთ, კონკრეტულად რა შეცდომა დაუშვა მოსწავლემ პასუხის გაცემისას?**

**(1) 28.2. ახსენით, მოსწავლის მიერ რუკის წაკითხვისა და მასზე არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, კონკრეტულად რამ განაპირობა შეცდომა მის პასუხში?**

**(2) 28.3. ჩამოაყალიბეთ ორი თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება, რომელსაც მისცემდით მოსწავლეს, რათა მან მართებულად შეასრულოს დავალება.**

**ინსტრუქცია**

მოცემული დავალება უკავშირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვას. გაეცანით მოცემულ პირობას, უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

## 29. გაკვეთილის დაგეგმვა

თქვენი საგაკვეთილო თემაა „სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბება I მსოფლიო ომის წინ“ და მისი შესწავლა დაგეგმილია ერთი გაკვეთილის განმავლობაში. თქვენს ხელთაა შემდეგი სასწავლო რესურები:

ა) სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტი;
ბ) პოლიტიკური რუკა „ევროპა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“;
გ) ინგლისური კარიკატურა რუსეთის სამხედრო ძალებსა და შეიარაღების შესახებ.

<u>კითხვები:</u>

(2) 29.1. განსაზღვრეთ გაკვეთილის სასწავლო მიზანი:
ა) რა ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე?
ბ) რომელი კონკრეტული სასწავლო უნარ-ჩვევის განვითარებას შეეცდებით მოსწავლეებში?
(2) 29.2. დაასახელეთ ზემოთ აღნიშნული რესურსებიდან ერთი, რომელსაც გამოიყენებთ გაკვეთილის საწყის ეტაპზე; უპასუხეთ: ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენს მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?
(2) 29.3. დაასახელეთ რესურსი, რომლითაც გააგრძელებთ სასწავლო პროცესს. უპასუხეთ:
ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენს მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?
(1) 29.4. რა შემაჯამებელ დავალებას მისცემთ მოსწავლეებს დარჩენილი მესამე რესურსის გამოყენებით?

**ინსტრუქცია**

მოცემული დავალება უკავშირდება მოსწავლის ნაშრომის შეფასებას. ამ დავალების შესასრულებლად გეძლევათ:

1) მოსწავლისათვის გასაანალიზებლად მიცემული ტექსტი (ისტორიული წყარო) თანდართული კითხვებით;

2) მოსწავლის მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხი;

3) შეფასების სქემა, რომლითაც უნდა შეაფასოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები.

ყურადღებით გაეცანით ისტორიულ წყაროს, დასმულ შეკითხვებს და მოცემული შეფასების სქემის მიხედვით, მიანიჭეთ ქულები მოსწავლის პასუხებს.

პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

**30. მოსწავლეს გასაანალიზებლად მიეცა ქვემოთ მოცემული ტექსტი და კითხვები.**

**დარიალის სასაზღვრო რაზმის უფროსის საიდუმლო მოხსენება**

პირველი თებერვლის აგენტურული ცნობებით, თერგის ოლქს ბოლშევიკური მთავრობის მოსასპობად გარს შემოერტყა გენერალ დენიკინის ჯარი. მათ ადვილად აიღეს ალაგირი, სადაც მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ქართველები არიან და დაუახლოვდნენ ქალაქ ვლადიკავკაზს. ბოლშევიკებს მიემხრნენ ინგუშები და 10000 კაცამდე გამოიყვანეს ქალაქის დასაცავად. 10 თებერვალს დენიკინის ჯარმა აიღო ვლადიკავკაზი. ინგუშები გაიფანტნენ მთებში და ბოლშევიკები კი მოაწვნენ საქართველოს საზღვრებს.

რადგანაც ჩვენ გვქონდა აგენტურული ცნობები ბოლშევიკების ჩვენი საზღვრებისაკენ წამოსვლის შესახებ, ჩვენს მიერ მიღებულ იქნა ზომები მათ დასახვედრად. 12 თებერვალს საღამოს ჩვენ საზღვარზე გამოჩნდა ბოლშევიკების მზვერავი ჯარი, რომელმაც ჩვენი მხრიდან სროლის შემდეგ უკან დაიხია. იმავე დღეს, საღამოს რვა საათზე საზღვარს მოადგა ავტომობილი ბოლშევიკების დელეგაციით, რომელმაც ითხოვა, გაგვეშვა სამშობლოში ქართველები მაინც.

ამის შესახებ მოხსენდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ნება დართო მხოლოდ ქართველებს მხოლოდ იარაღის ჩაბარების შემდეგ. დელეგაცია გაბრუნდა უკან და როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მთავრობის გადაწყვეტილებას ბოლშევიკებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. მათ გადაეწყვიტათ, შეერთებული ძალით ქართველი ბოლშევიკების მონაწილეობით, გამოერღვიათ საზღვარი და შემოსულიყვნენ საქართველოში.

13 თებერვალს იმის მაგივრად, რომ ქართველი ბოლშევიკები მოსულიყვნენ საზღვართან და ჩაებარებინათ იარაღი, მათ დილის რვა საათზე ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით დაიწყეს სროლა. ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის ორი დღის ომის შემდეგ ჩვენგან მიტანილი იერიშით ბოლშევიკებმა დაყარეს იარაღი. ამის შემდეგ გამოშვებულ იქნენ საქართველოსკენ.

14 თებერვალს საქართველოს საზღვარს მოადგა გენერალ დენიკინის მზვერავი ჯარი. დენიკინის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკას უცქერის, როგორც თავის მტერს. მაგრამ ჯერ-ჯერობით საქართველოსთვის არ სცალიათ.

<u>მოსწავლისათვის დასმული კითხვები:</u>

30.1. კავკასიის რომელ ნაწილში მდებარეობდა თერგის ოლქი?

30.2. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, ვინ უტევდა ქალაქ ვლადიკავკაზს?

30.3. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, ვინ იცავდნენ ქალაქ ვლადიკავკაზს?

30.4. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, რა მოიმოქმედეს ვლადიკავკაზის დამცველებმა მას შემდეგ, რაც დამარცხდნენ და ქალაქი დატოვეს?

30.5. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირს ეცნობა საქართველოს საზღვართან შექმნილი ვითარების შესახებ?

30.6. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, დაასახელეთ რა პირობები წამოაყენა საქართველოს მთავრობამ?

30.7. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც გაამართლებდით ქართული მხარის მიერ წამოყენებულ პირობას?

30.8. დოკუმენტის ტექსტის მიხედვით, რა მოიმოქმედა მოწინააღმდეგე მხარემ საქართველოს მთავრობის მხრიდან პირობის წამოყენების შემდეგ?

30.9. თქვენი აზრით, რატომ მიიჩნევდა გენერალ დენიკინის მთავრობა საქართველოს თავის მტრად? მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

30.10. თქვენი აზრით, რატომ არ „ეცალა“ დენიკინის მთავრობას საქართველოსთვის?

30.11. თქვენი აზრით, რატომ ვერ დაიწერებოდა ეს დოკუმენტი 1921 წლის თებერვლის შემდეგ?

30.12. თქვენი აზრით, რატომ ვერ დაიწერებოდა ეს დოკუმენტი 1918 წლამდე?

<u>**მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:**</u>

*30.1. სამხრეთ კავკასიაში*

*30.2. თეთრგვარდიელები*

*30.3. მენშევიკები და ინგუშები*

*30.4. ბოლშევიკები მოაწვნენ საქართველოს საზღვრებს*

*30.5. რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს*

*30.6. შემოუშვებდნენ ყველას, ვინც იარაღს ჩააბარებდა*

*30.7. მტრულად განწყობილი ძალის იარაღით შემოშვება ქვეყნის უსაფრთხოებაზე უარყოფითად იმოქმედებდა*

*30.8. მთავრობის გადაწყვეტილებამ ბოლშევიკებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია*

*30.9. იმიტომ, რომ ის რუსეთის იმპერიის გენერალი იყო და ბოლშევიკებს ებრძოდა*

*30.10. რუსეთში მიმდინარე სამამულო ომში ჩაბმულ დენიკინს დროებითი ზავი ჰქონდა საქართველოსთან და ამიტომ*

*30.11. 1921 წლის თებერვლიდან საქართველო სსრკ-ის შემადგენლობაში იყო და დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა*

*30.12. 1918 წლამდე საქართველო დამოუკიდებელი არ იყო*

<u>**შეფასების სქემა, რომელიც უნდა გამოიყენოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხების შესაფასებლად.**</u>

- ***დადებითი ქულის დაწერის შემთხვევაში, პასუხების ფურცელში აუცილებლად აღნიშნეთ მოსწავლის მიერ გაცემულ რომელ კონკრეტულ პასუხს ან პასუხებს მიეცით ქულა.***

| | |
|---|---|
| 30.1 | კავკასიის იმ ნაწილის დასახელება, სადაც მდებარეობდა თერგის ოლქი, ფასდება **1 ქულით** |
| 30.2 | ვლადიკავკაზზე შემტევი სამხედრო ძალის სწორი დასახელება ფასდება **1 ქულით** |
| 30.3 | ვლადიკავკაზის დაცვაში მონაწილე თითოეული ჯგუფის სწორი დასახელება ფასდება **1 ქულით** |
| 30.4 | ვლადიკავკაზის დაცვაში მონაწილე თითოეული ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედების სწორი დასახელება ფასდება **1 ქულით** |
| 30.5 | კონკრეტული თანამდებობის სწორი დასახელება ფასდება **1 ქულით** |
| 30.6 | საქართველოს მთავრობის მიერ წაყენებული პირობის სრული დასახელება ფასდება **1 ქულით** |

| | |
|---|---|
| 30.7 | ნებისმიერი ლოგიკური და დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება **1 ქულით** |
| 30.8 | მოწინააღმდეგე მხარის ქმედების სწორი აღწერა ფასდება **1 ქულით** |
| 30.9 | ნებისმიერი ლოგიკური და დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება **1 ქულით** |
| 30.10 | ნებისმიერი ლოგიკური და დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება **1 ქულით** |
| 30.11 | ნებისმიერი ლოგიკური და დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება **1 ქულით** |
| 30.12 | ნებისმიერი ლოგიკური და დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, ფასდება **1 ქულით** |

## სწორი პასუხები

**1-22** - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

| | |
|---|---|
| 1-დ | 10-ბ |
| 2-ბ | 11-ა |
| 3-დ | 12-გ |
| 4-ბ | 13-ბ |
| 5-გ | 14-დ |
| 6-ბ | 15-ბ |
| 7-ა | 16-ა |
| 8-დ | 17-დ |
| 9-გ | 18-დ |

| | |
|---|---|
| 19. 213 | 21. 231 |
| 20. 213 | 22. 132 |

23. - სულ 21 ქულა

23.1. მეოთხე  სახელმწიფო შეიძლება იყოს ინგლისი  //  საფრანგეთი (1ქ), ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1 ქ); სულ 2 ქულა.

23.2. ბალკანეთის ნახევარკუნძულით დაინტერესებული იყო რუსეთი (1ქ) და ავსტრია–უნგრეთი (1ქ). ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1ქ);  სულ 3 ქულა.

23.3. რუსეთისთვის (1ქ), ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1 ქ);  სულ 2 ქულა.

23.4. სახელმწიფოს დასახელება (1  ქ), მაკაფიოდ ჩამოყალიბებული დასაბუთებით (1  ქ); სულ 2 ქულა.

23.5. ბოსნია– ჰერცოგოვინის  - 1 ქულა

23.6. ოსმალეთი - 1 ქულა

23.7 ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის (1 ქ), იმ ტერიტორიულ საზღვრებში, რომლებიც განსაზღვრულია ბერლინის ტრაქტატით (1 ქ); სულ 2 ქულა.

23.8. გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე ერთი პიროვნებაა - 1 ქულა

23.9. ოსმალეთის (1 ქ); არ აქვს სრუტეების გადაცემის უფლება (1 ქ); გარკვეულ შემთხვევაში კარგავს ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიას (1 ქ); სულ 3 ქულა

23.10. თურქეთს მინიჭებული აქვს ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტია (1 ქ); ბერლინის ტრაქტატით განისაზღვრა ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის ტერიტორიული საზღვები (1 ქ); სულ 2 ქულა

23.11. სან–სტეფანოს ზავი (1ქ); რუსეთის საწინააღმდეგოდ (1ქ); სულ 2 ქულა.

## **24-27** - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

24–ბ

25–ბ

26–დ

27–დ

28. სულ 4 ქულა

28.1. მოსწავლემ ორივე სახელმწიფოსთან წარმოებული ომის შედეგები ერთნაირად შეაფასა - 1 ქულა

28.2. მოსწავლე არ გაეცნო რუკის ლეგენდას და არასწორად შეაფასა რუსეთ–თურქეთისა და რუსეთ–ირანის ომის შედეგები ქართველებისათვის - 1 ქულა

28.3. ნებისმიერი ორი თანმიმდევრული, ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დავალება (თითო დავალება 1 ქულით ფასდება); სულ 2 ქულა

29. სულ 7 ქულა

29.1. ა. ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ადეკვატური პასუხი (1ქ); ბ. ნებისმიერი ადეკვატურად დასახელებული სასწავლო უნარ-ჩვევა (1 ქ); სულ 2 ქულა

29.2. ა. დასახელებული რესურსის გამოყენებით ადეკვატურად განსაზღვრული მიზანი (1ქ) ბ. დასახელებული რესურსის გამოყენებით ადეკვატურად განსაზღვრული დავალება (1ქ); სულ 2 ქულა

29.3. ა. დასახელებული რესურსის გამოყენებით ადეკვატურად განსაზღვრული მიზანი (1ქ) ბ. დასახელებული რესურსის გამოყენებით ადეკვატურად განსაზღვრული დავალება (1ქ); სულ 2 ქულა

29.4. დარჩენილი რესურსის გამოყენებით ნებისმიერი ლოგიკური, ადეკვატური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული შემაჯამებელი დავალების დასახელება - 1 ქულა

30. სულ 12 ქულა

მასწავლებელი მიიღებს დადებით შეფასებას (1 ქულა), თუ მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხებს ამგვარად (იხ. ცხრილი) შეაფასებს სათანადო დასაბუთებით (მოსწავლის მიერ გაცემულ რომელ კონკრეტულ პასუხს ან პასუხებს მისცა ესა თუ ის ქულა):

| N | მასწავლებლის შეფასება |
|---|---|
| 1 | 0 |
| 2 | 1 |
| 3 | 1 |
| 4 | 1 |
| 5 | 0 |
| 6 | 0 |
| 7 | 1 |
| 8 | 0 |
| 9 | 0 |
| 10 | 0 |
| 11 | 0 |
| 12 | 1 |